

საქართველოს კულტურის,
ძეგლთა დაცვისა და სპორტის მინისტრის
ბრძანება № 3/178

2007 წ. 27 სექტემბერი

ქ. თბილისი

ქ. თბილისში, ქალაქის ისტორიულ ნაწილში, არსებულ ცალკეულ ქუჩათა
ქსელისათვის ისტორიისა და კულტურის უძრავი ძეგლის
(ქალაქმშენებლობითი ძეგლის) სტატუსის მინიჭების თაობაზე

საქართველოს უმნიშვნელოვანეს ისტორიულ-კულტურულ ფასეულობათა
სამართლებრივი დაცვის უზრუნველყოფის მიზნით, „კულტურული
მემკვიდრეობის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-15 მუხლისა და
„საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის“ 51-ე, 52-ე, 53-ე, 54-ე, 55-ე,
56-ე, 61-ე და 95-ე მუხლის მე-6 პუნქტის შესაბამისად

ებრძანება:


1. მიენიჭოს კულტურული მემკვიდრეობის უძრავი – ქალაქმშენებლობითი
(ურბანული) ძეგლის სტატუსი ამ ბრძანების დანართ №1-ში მითითებულ ქ.
თბილისის ისტორიული ნაწილის ქუჩათა ქსელს, მასზე განლაგებული შენობა-
ნაგებობების გარეშე (დანართ №2-ში მითითებულ ფარგლებში).
2. დაევალოს კულტურული მემკვიდრეობის დეპარტამენტს ამ ბრძანების
ამოქმედებიდან 1 თვის ვადაში, დანართში მითითებული ობიექტებისათვის
ძეგლის სტატუსის მინიჭების შესახებ მონაცემების ძეგლების სახელმწიფო
რეესტრში და სამინისტროს ინტერნეტ გვერდზე ასახვა.
3. დაევალოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის კომისიას, წარმოადგინოს
შესაბამისი დასკვნები ამ დანართში მითითებული ძეგლებისათვის კატეგორიის
მინიჭების თაობაზე.
4. ბრძანება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.
5. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს დაინტერესებული მხარის მიერ გაცნობიდან
ერთი თვის ვადაში საქართველოს მთავრობაში (მისამართი: ქ. თბილისი, პავლე
ინგოროყვას ქუჩა №7) ან თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ
საქმეთა კოლეგიაში (მისამართი, ქ. თბილისი დავით სარაჯიშვილის ქუჩა №1^ა)

მინისტრის მოვალეობის
შემსრულებელი

ნ. ვაჩიშვილი

ქ. თბილისის ქუჩათა ქსელი:

1. დადიანის ქუჩა;
2. ქიქოძის ქუჩა;
3. მახაბელის ქუჩა;
4. იაშვილის ქუჩა;
5. ჭონქაძის ქუჩა;
6. გერგეთის ქუჩა;
7. ასათიანის ქუჩა;
8. კოჯრის ქუჩა;
9. ამაღლების ქუჩა;
10. მესხის ქუჩა;
11. ჩაიკოვსკის ქუჩა;
12. ლეონიძის ქუჩა;
13. ლერმონტოვის ქუჩა.



პირობითი აღნიშვნები



ძეგლი



ქუჩა, რომელსაც ენიჭება უძრავი ძეგლის სტატუსი

მასშტაბი 1:4000